საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1408 2016 წლის 14 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

1. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის საავტომობილო გზის მე-12 კმ-ზე და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის საავტომობილო გზის მე-12 კმ-დან ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სულორში, ე.წ. ხახუტაშვილების უბანში, მისასვლელი საავტომობილო გზის მონაკვეთზე, 2016 წლის 9 ივლისს განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის საჭირო სამუშაოების და მასთან დაკავშირებული საპროექტო და საზედამხედველო მომსახურებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

(შემდგომში - სამინისტრო) გამოუყოს 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, სამინისტროს მართვაში არსებული შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ კაპიტალის გაზრდის მიზნით.

2. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 159-ე მუხლის შესაბამისად, სამინისტრომ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მეშვეობით უზრუნველყოს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის საავტომობილო გზის მე-12 კმ-დან ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სულორში, ე.წ. ხახუტაშვილების უბანში, მისასვლელი საავტომობილო გზის მონაკვეთზე ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საპროექტო და საზედამხედველო მომსახურებების განხორციელება.

3. „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №172 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ“ სამუშაოები განახორციელოს პროექტირების პარალელურ რეჟიმში, ეტაპობრივად შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

4. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განხორციელდეს:

ა) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის საავტომობილო გზის მე-12 კმ-ზე განხორციელებული სამუშაოებისა და საპროექტო დოკუმენტაციის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისათვის - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის გადაცემა;

გ) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის საავტომობილო გზის მე-12 კმ-დან ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სულორში, ე.წ. ხახუტაშვილების უბანში, მისასვლელი საავტომობილო გზის მონაკვეთზე განხორციელებული სამუშაოებისა და საპროექტო დოკუმენტაციის ვანის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემა.

5. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების შემდეგ, სამინისტრომ უზრუნველყოს შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ კაპიტალში შესაბამისი ცვლილების განხორციელება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ“ უზრუნველყოს სამინისტროსათვის ინფორმაციის მიწოდება, გადარიცხული თანხის ხარჯვის შესახებ ან სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად.

7. განკარგულება გავრცელდეს 2016 წლის 9 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

№1

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი